# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 232

„2" აგვისტო 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიის ნაწილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.39.015.006) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 28 აპრილის №23 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 ივლისის №04/13622 წერილის (AR1398212) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიის ნაწილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.39.015.006) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1398212 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისში, ვარკეთილი 3-ის საცხოვრებელი რ-ნის,
საზოგადო ცენტრის ტერიტორიის ნაწილი, (ნაკვეთი N15.6)

# განაშენიანების რეგულირების გეგმა



ჭრილი 1-1 მ.1:500



ჭრილი 2-2 მ.1:500

**შეთანხმებულია**
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.ა.
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურთან

| | |
|---|---|
| - - - - - | საპროექტო ტერიტორიის საზღვარი |
| ——— | ნაკვეთების საზღვარი |
| - - - - - (წითელი) | წითელი ხაზი |
| - - - - - (ლურჯი) | ლურჯი ხაზი |
| (ნარინჯისფერი) | ქვეითთა მოძრაობა |
| (ყვითელი) | სატრანსპორტო მოძრაობა |
| (მწვანე) | გამწვანება |
| P | ღია ავტოსადგომები |
| (დაშტრიხული) | სერვიტუტი |
| (ღია ყვითელი) | საპროექტო შენობები |

| | |
|---|---|
| 0 | 0* |
| 1 | 2 |
| 3 | 4 |
| 5 | 6 |

0. ბლოკი
0* შენობა
1. ზონის სახეობა ან (სან-ი)
2. სართულიანობა ან სიმაღლე
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2
5. გამწვანების კოეფიციენტი კ-3
6. სახურავის ტიპი (ბანოვანი, ქანობიანი)



შენიშვნა:
1. ნახაზზე განცალკევებით ნაჩვენები საპროექტო ტერიტორიის საზღვარი და ნაკვეთების საზღვარი რეალურად ემთხვევა ტერიტორიის საკადასტრო საზღვარს.

უძრავი ქონების საკადასტრო რუკა

"ივ ბი 5"